წელიწადი მეცხრე — № 409

პარასკევი, 1 ფებერვალს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ.ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლეში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: სიკვდილს შემდეგ სინანული — წერილი ამბავი — რედაქციისაგან — „დროების" კორრესპონდენცია: ხარაგაულიდგან — ქალდეეთიდგან — შოოშიდგან — უ ც ხ ო - ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი — ინგლისი — ესპანია — ჩაის გაშენება კავკასიაში, ად. ეტლინგერისა განცხადება.
ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: მეველისა.

# საქართველო

## სიკვდილს შემდეგ სინანული

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამოდენი სისხლის, სამართლის საქმე, როგორც ჩვენშია, კიდევ სადმე მოინახოს! ყოველ დღე ახალი და ახალი შესაძრწუნებელი დანაშაულობა გესმისთ! ჰხედავ: აქ მამა მოუკლავს შვილსა! იქ ძმა ძმას ხანჯალსა სცემს მუცელში! კიდევ სხვაგან საბრალო ოჯახს თავს ესხმებიან, აოხრებენ სახლ-კარს, სჩეხენ და სტანჯვენ მასპინძელს ორიოდე გროშისთვის! ერთის სიტყვით, აშკარი და მოურიდალი ძალადობა სჩნდება! საზოგადოება შიშით და გაკვირვებით უცქერის ამ ნაირ საზარელ მოვლინებას; ის ნიადაგ ძრწოლაში და ძაგ-ძაგშია თავის საკუთრებისთვის, თავისუფლებისთვის, ცოლ-შვილისთვის.... უბრალოთა ვსთქვათ: ადამიანის პირუტყული მხარეები ლაგამ გადახსნილია და თითოეულს საზოგადოების წევრს საოცარი შემთხვევა მოელის!

როდესაც ცხოვრება ამისთანა სამწუხარო სურათს წარმოადგენს, მაშინ დამსჯელი ზომები, წვალება და ტანჯვაც დამნაშავისა, სრულიად ვერ გაასწორებენ საზოგადოების დაცემულს ზნეობას.

ყოველი დასჯა, სისასტიკე, დამტკიცებულია სწავლისგან, კიდევ უმეტესად აბრაზებენ და აქეზებენ კაცს ცუდის მოხდენაზედ. იქ, სადაც უფრო ლმობიერი კანონებია, ყოველთვის ნაკლებათ ხდება დანაშაულობა. ჭეშმარიტია, თითოეული ხალხი უნდა ევლტოდეს თავის სიცოცხლის უშიშრად მორთვას, ისე რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს თავისუფლად შრომა და სარგებლობაც ამ შრომისგან. მართალია, ამას ყველა ხალხი სცდილობს, მაგრამ არ იცის კი ნამდვილი საშუალებები თავის წევრის მხეცური ინსტინქტების შესალაგმელად. როგორც ზევითა ვსთქვით, ბევრს ადგილს დასჯას საუკეთესო წამლათ პოულობენ. ეს წმინდა სიბრმავეა. სტატისტიკა ერთობ ნათლად გვიმტკიცებს ამ ლონისძიების მავნებლობას. აქ საქმე საეჭვოდ როდია. ციფრებს ვერც ერთი კანონ-მდებელის „ღრმა მოსაზრებანი", „ზნეობითი ჭეშმარიტებანი" ვერ გაექცევა! ის ყოველთვის თვალ-წინ ექნება საზოგადოებას, როგორც ბაბილონის სასახლეში გამოჩენილი სიტყვები: „მანე, ფაკელ, ფარეს...", და თუ რაიმე ნამდვილ გარდაწყვეტილებაზედ არ დაადგა საზოგადოება, იმასაც ისეთი ბედი მოაწყდება, როგორც ერთ მხეცურს ანარხიაში მყოფ ხალხსა....

მაგრამ მაგდენი გასაჭირი რომ არა არის რა! ხომ ადვილად მოეწყობა წამლობა ამ სენს! ნეტავი ერთი რათ ვიმტვრევთ თავს და ვიხეთქთ გულს უბრალო ჭეშმარიტების გასაგებათ?!

აი ბეჯითი საშუალება: მიეცეს ყოველს ყმაწვილს დასაწყისი განათლება; ჩაენერგოს იმათ გულში მოქალაქობრივი მოვალეობა, საკუთარი და თავის მოძმის უფლება! მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ნიადაგ სამხედრო მდგომარეობაში, თორემ რასა ჰგავს ეს, ბატონებო?

აქ ჩვენ გვიპასუხებენ: მშობლის სურვილის წინააღმდეგ ყმაწვილის სწავლება მშობლის უფლების დარღვევა არისო". ეს არის ვალდებულებითი სწავლის წინააღმდეგების საბუთი. ვნახოთ აბა, რა იფარება აქ.

ერთ დროს მამას თავის შვილის გაყიდვის ნება ჰქონდა და, თუ სურდა, სიკვდილისაც. თუ რომ ვისმეს სული დაებერა ამ ნაირ „წმინდა" მამის უფლებაზედ, მაშინდელი ვაჟბატონები იმ წამს ყვირილს დაიწყებდენ: „ეს მშობლის უფლების უარ-ყოფა" არისო. დღეს ცოტათი შელბა ეს ბარბაროსებრივი აზრი. დღეს ვერავინ ვერ გაბედავს აღიაროს, რომ მშობელს თავის ნაშობზედ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდეს. მაგრამ შევხედოთ ერთი, რა ძალა დარჩენია მაინც იმას: მამას აქვს ნება ამყოფოს შვილი ნიადაგ უმეცრების მონაობაში, არ შეიყვანოს იგი არასოდეს განათლებულ წრეში, დაუხშოს ყოველი გზა განათლებისადმი, დააყრუოს და დააბრმავოს მისი გრძნობა, ნიჭი, ლტოლვილება და ათასი ისეთი თვისებანი, ურომლისოდ კაცი ნახევარი კაცია მხოლოდ. ეს ნება აქვს მამას!

გუშინ არ იყო, რომ იცავდენ ბატონ-ყმობის სამართლიანობას? არ გაგვიგონია განა ჩვენ სამდურავი: „რათ ასწავლის ეს ოჯახ-დაქცეული ამ ჩემი გლეხის შვილს წიგნსაო!"

მონის შვილის ამოსალების სწავლება იმისი ბატონის უფლების დარღვევა, გაქურდვა იყო. ე. ი. სისხლის სამართლის დანაშაულობა, წართმევა საკუთრებისა. აი, როგორი აზრი სუფევდა ამ ბოლოს დრომდის!

დღეს სწავლის ვალდებულად გახდას იგივე საფუძველი აბრკოლებს, რომელიც ბატონის ყმის შვილს სწავლას უკრძალავდა. აქაც ისე სჯიან. „ვალდებულებითი სწავლა მშობლის უფლების დარღვევა არისო". თუმცა ეს უფლება შვილს მამის საკუთრებათ ხდის და ურიცხვი ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ ამას ვინ დასდევს!

ამას გარდა სხვა საფუძველიც არის, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ: ველური კაცი თავის შვილს ორ კედელს შუა ჩაუდებს თავს, რომ შუბლი გაუპრტყელოს. ჩვენ კი იმითი ვკმაყოფილობთ, რომ თავსაც და აზრსაც ჩვენის შვილებისას ვავიწროებთ და ვამახინჯებთ ისეთ ხარისხამდე, რომ ისინი ადამიანის შთამამავლობას აღარა ჰგვანან.

მართალია, ჩვენ არ ვკლავთ შვილებს და არც ვყიდით. ჩვენ მხოლოდ იმათი ნიჭის დაბადებას უშლით. ეს ხომ მკვლელობა არ არის, ეს მარტო მუცელის წახდენაა!

ეხლა ვიკითხავთ: განა ველურ კაცზედ ნაკლები უფლება გვქონია ჩვენ ჩვენს შვილებზედ?

# ფელეტონი

სამხიარულო, თორემ სამწუხარო ამბები ჩვენ ხშირად მოგვდის სხვა და სხვა საქართველოს მხარეებიდამ. აი მაგალითად ზოგიერთი კორრესპონდენციის შინაარსი: „აქ საზარელი საქმე მოხდა! ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა ს—მა შეკრებილებაში ჩამოიღო თავის ცოლი ცხენიდამ და უმოწყალოდ სცემა. ათი, თუთხმეტიოდე ვირი — ეს სიტყვა ლათინურათ, მამაცსა ჰქვიან, — რომელნიც ამ ქალს ახლდნენ უცქერდნენ სეირს და არც კი გააკვეს ტუტუცი და ეუგუნური მეუღლე...". „ს. ს. ამა და ამ საპატიო კაცმა, ერთი უბრალო შენიშვნისთვის, ცოლი მათრახის ცემით დაასივა....". „ქ. ს. პატივცემულმა თავადმა X—მა ისე მიბრიგა ერთხელ თავისი ძვირფასი (?) მეუღლე, რომ საბრალო ქალი მერმე ვეღარც კი წამომდგარა ლოგინიდამ...." და გვთხოვენ ყველა ამ ამბების დაბეჭდვას.

ჩვენ, რასაკვირველია, სრული თანამგრძნობელი ვართ, ამისთანა დარბაისელი კაცების სახელი სამუდამოთ გაჰკიცხვას და წყევას მიეცეს, მაგრამ ესეც არის, ძალიან საძნელო კია, რომ თითოეულმა სკანდალმა, რომელიც ხდება ჩვენს ქვეყანაში ადგილი იპოვნოს გაზეთში.

ქვირაში ერთხელ გამოცემა, არ შეიძლება კერძო ფაქტებით აივსოს. საზოგადო ინტერესის დაკმაყოფილება და მასთან კერძო შემთხვევების მოყვანაც, უადგილობის გამო, არ მოხერხდება არას გზით. ამისთვის იმედი გვაქვს არ შეგვერისხვენ ზოგიერთი კორრესპონდენციების დაუბეჭდველობისთვის.

ჩვენ შემდეგი სისტემა მივიღეთ თითოეულს ჩვენი ცხოვრების უხეირო მოვლინებაზედ: როდესაც რომელიმე მოვლინება საზოგადო სენათ გვექნება შენიშნული და დავრწმუნდებით, როგორც ცნობებით, აგრეთვე საკუთარის დაკვირვებით, მაშინ ჩვენ ყველა ამებზედ ერთს საზოგადოთ სახელთმძღვანელო და გარდაწყვეტილს აზრს წარმოვთქვამთ. მაგრამ აქედან ის არავინ გამოიყვანოს, რომ ისეთს ასაღელვებელ ამბებს, როგორსაც ჩვენ გვატყობინებენ ხოლმე, იმწამსვე არ დავბეჭდავთ.

* * *

არა! ნეტავი გვეტყოდეს ვინმე, სადაური ჩვეულება და წესია დედაკაცის გალახვა?... ძველ ქართველობაში ყოფილა ეს სიგლახავე? ყოფილა სუსტისა და უიარაღო არსების დაჯაბნება? არა. მაშ ახალი განათლება გვიქადაგებს ქალის მათრახით და მუშტებით დასივებას? არა. მაშ საიდამ, რა ეშმაკმა შემოიღო ეს საზარლობა, ეს ვაჟკაცის შემარცხვენელი საქმე? აი რამ: ყალბმა ცხოვრებამ, ძველი თვისებების დავიწყებამ და ნამდვილი ახალი ზნის მიუხვდენელობამ. სამოცის, სამოცდა ათის წლის წინეთ, არც როზგის ხმარება სცოდნია გლეხისთვის ჩვენს მებატონეებს, მაგრამ გუშინ არ იყო როზგი და განათლება სინონიმათ (თანასწორად) ითვლებოდა ჩვენში?

მართალია, ძველი ქართველი მოჰკლავდა თავის ცოლს; მაგრამ ის პასუხსაც აგებდა! ეხლა ქართველი კი ყოველ ცისმარია დღე სცემს დედაკაცს — და იგი არა ვითარს დასჯას არ ექვემდებარება. მეორე წამში ლოშნას და სიყვარულსაც დაუწყებს დაღრილავებულს ცოლს. რა საძაგლობაა! როგორი სიბინძურე და ზნეობითი დაცემაა!

* * *

აბა ერთი გადავავლოთ თვალი, შევხედოთ: შეუძლიან მარტო მამაკაცს უდედაკაცოთ პროგრესსი? არა! ამისი დარწმუნება ვასტიკი ხუმრობა იქნებოდა!

ამბობენ: ყოველი წინ მსვლელობა, განათლება მარტო ქმრებს მიეწერებაო. ეს ცხადი სიცრუვეა, როგორც ზნეობაში, ეგრეთვე ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ბუნებით საგნებში. მაშ სადაა სიმართლე? აი ინებეთ: ხვადს უნდა რომ თავის თავი ძუს მოაწონოს: ეს ბუნებაში სხეულის გამშვენიერებისა და გაუმჯობესობის მიზეზია. კაცს უნდა რომ ქალს თავი მოაწონოს: ეს კაცობრიობის გვარის გაუმჯობესობაა. დედაკაცის ჩათვლა ისეთ არსებათ, რომელიც მხოლოდ თავის შესაქცევად, გასართობ ნივთად, დასაჩაგრავათ გამოგვჩენია: ჩვენვან ეს დედაკაცის ყოველს ძუ ცხოველზედ უმეტესად დამცირება იქნება. ეს ხომ ძველი ფილოსოფიაა, ძველი ისტორია, ძველი ბუნებითი სწავლაა! გამოვიდეთ ამ უდაბნოდამ.

* * *

როგორ უფრო მართალი იყო ძველი ხალხები, უფრო გონიერი, როდესაც ისინი ამშვენიერებდნენ თავის ოლიმპის მთას ქალების ღმერთებითა, რომელნიც ესარჩლებოდენ ღმერთებს დედამიწის გაჩენისათვის! მაშ ვიცნოთ ჩვენის მხრითაც, რომ ქალი სანახევროთ მონაწილეა მოთხრობების, რწმუნებების და ზნეობის დაარსებაში. მივიღოთ ეს!

ბერძნების და რომაელების ცხოვრება სავსეა დედაკაცის სულითა, განმაველობითა. მათი ძეგლები, ნაწერები გვამტკიცებენ ამაზედ და მარტო ბრმა ვერ შენიშნავს ამ გარემოებას. დაბრმავებული ყალბი ლიტერატურული ჰკუით ზოგიერთი მწერლები ჰფიქრობენ, რომ დედაკაცი განათლებაში არას ფერს არ ნიშნავს, რადგანაც ის არ სწერს წიგნებსა. თითქოს წიგნებიც და კანონებიც უმთავრესი საფუძველი იყოს კაცობრიობის ბედნიერებისთვის!

ერთიც ესა: როგორ უარ-ვყოთ, აბა, უფლება უმეცრებისა, მამა-პაპური, ისტორიული, ძველთაგან ძველი, რომელიც კერპთთაყვანის-ცემის და ველური ცხოვრების დროის არის?!..

ბევრჯელ ძვირად დაგვჯდომია ჩვენი ჯიუტობა და ახალი ცხოვრების მოთხოვნილების უყურადღებობა, მაგრამ ეხლა ყველას დაგვავიწყებს უთუოდ, თუ რამე არ მოვაგვარეთ.

თუ მმართებლობა მისცემს საშუალებას ხალხს, რომ სწავლა ვალდებული და უფასური იქნეს, ხომ კარგი, თორემ ჩვენ თითონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენთვისვე. არც ყოველთვის სხვის პირში შეჩერება და მისი იმედით სიცოცხლე ვარგა. ერთი რომ, არც საკადრისია და არც სასარგებლო. ჩვენ თითონ უნდა მოვიფიქროთ ჩვენი თავისა და ჩვენი ოჯახის შველა.

სანამდის არ გვექნება ვალდებულებითი და! მუქთი სწავლა, მანამდის დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ჩვენი დაცემული ზნეობა ისევ დღევანდელ საზარელ მდგომარეობაში დარჩება.

ჩვენ მოგახსენებთ წამალს, მაგრამ მიღება და სარგებლობა ამ წამლით, ეს თქვენი საქმე გახლავს, ბატონებო.

არა, ამაზედ მეტი ცხადი კიდევ რაღა არის ქვეყანაზედ: საქართველოში ათასი და ათი-ათასი უსწავლელი და უსაქმო ყმაწვილი კაცია. ყველას ამათ აქვს მოთხოვნილება, საჭიროება, რომლის დასაკმაყოფილებლად, ამათ საზოგადოება არ აძლევს არც ასპარეზს, არც ცოდნას. რა უნდა ჰქნან ამ შემთხვევაში?

თუ, შეიძლება მცირე ღონისძიებაზედ დაჯერება, პატიოსანი და უბრალო შრომა, უარის-ყოფა იმ მოთხოვნილებათა და სიამოვნებათა, რომელიც აქვთ მათ ტოლსა და ამხანაგს? მაგრამ ამისთვის ხომ მტკიცე ზნეობითი გახსნილობა და სწავლაა საჭირო! ეს ამ საბრალო ახალგაზდობას არა აქვს, არა აქვს არც საშუალება საცხოვრებელი და ვარდება იგი ისევ ძალადობის, ავაზაკობის და ნიადაგ შფოთიანს ცხოვრებაში. ვისი ბრალია, მიბრძანეთ ერთი, ამ ნაირი სამწუხარო, მაგრამ აუცილებელი მოვლენა, თქვენი, თუ ამ ძალით და ენერგიით სავსე კაცებისა?

მიეცით იმათ სწავლა, მიეცით სამოქმედო ადგილი და ნახეთ მაშინ, თუ ყველაფერი წესიერად არ წავიდეს. მანამდის კი სამდურავი და ლანძღვა უსაფუძვლოა.

მეველე.

---

## წვრილი ამბავი.

—გუშინ, 31 იანვარს, თფილისის საზამთრო თეატრში იყო კიდევ ქართული სპექტაკლი. წარმოადგინეს Ილ. ჭავჭავაძის „სცენები მომრიგებელ შუამდგომელთან" და ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთის ცოლისა". ხალხი ბევრი არ ყოფილა, იმდენი თუ იქნებოდა, რამდენიც „ძალათ ექიმის" წარმოდგენაზედ დაესწრო. ეს ერთის მხრით კიდევ გვიან გამოცხადების ბრალი უნდა ყოფილიყოს და მეორეს მხრით იმისგამო, რომ გუშინ საღამოს მრავალი ხალხი „თფილისის წრემ", „მუზიკალურმა საზოგადოებამ" და საზაფხულო თეატრში ფოკუსებმა გადიბირა. მაგიერად თეატრის გალერეიაში ორი იმოდენა ხალხი იყო, ვინემ წასრული ქართული წარმოდგენის დროს.

გუშინდელი წარმოდგენა ბევრად სჯობდა წასრულის ორშაბათისას; მაშინდელი პიესები ორი-სამი მოქმედი პირის წყალობით გამოჩნდა ხეირიანი, გუშინდელი კი საზოგადოდ კარგი წარმოდგენა იყო, ზოგმა მშვენიერადაც ითამაშეს; საკიცხავად ასრულებდა თავის როლს მხოლოდ მომრიგებელი შუამდგომელი. მაგრამ, ჩვენის აზრით, იმ მომრიგებელი შუამდგომელის მაგიერ რომ მუთაქა აეყუდათ კრესლოში, მაშინაც არ დაეკარგებოდა Ილ. ჭავჭავაძის სცენებს თავისი ღირსება და იმგვარსავე შთაბეჭდილებას მოახდენდა, რა გვარიც მოახდინა, ამიტომ რომ ამ სცენებში მარტო მთხოვნელების როლია ყურადღების ღირსი.

უბრალო ხალხის სიმრავლე ყოველ ქართულ წარმოდგენაზედ გვიმტკიცებს, რომ ის მოკლებულია ყოველივე ხეირიან გასართობს და ამისთვის საჭიროა რომ ჩვენ ქართული თეატრის აშენებასა და ტრუპპის დაწესებას ვსცდილობდეთ. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი შემდეგ იყოს.

---

## რედაქციისაგან.

რუსული გაზეთის „თფილისის მოამბის" მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილია უფ. დავით გიორგის ძის ერისთვის თხოვნით შემდეგი შენიშვნა:

„გაზეთის „დროების" ოთხას მერვე (!!) ნომერში *), ე. ი. ამ წლის 25 იანვრისაში, დაბეჭდილია შენიშვნა ქართულ წარმოდგენაზედ, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ წარმოადგინესო შემდეგი კომიკური პიესები: გ. ერისთვისაგან გაფუჭებული მოლიერის კომედია „ძალათ ექიმი" და სხვ.

„მე ადრევე ვიცოდი, რომ იმერული გაზეთი „დროება" ამგვარად მოიხსენებდა ქართული თეატრის დამფუძნებელს, ვინაითგან მას აქეთ, რაც იმის რედაქციაში დრამატიკულ გენიოსად უცნობი კაცი აღმოჩნდა, გაზეთმა სრულიად შეიცვალა თავისი აზრი გ. ერისთავზედ, რომელსაც ის როდისღაც აქებდა.

„მაგრამ ამაზედ ლაპარაკი ჩვენ არა გვსურს, ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ „ძალათ ექიმი" სრულიადაც არ არის გ. ერისთვისაგან „გაფუჭებული", ის არის Ივ. ერისთვისაგან „გადმოკეთებული" მაგრამ გ. ერისთვის თხზულებათ გამომცემლის დაუდევნელობით დაბეჭდილია ამ ავტორის თხზულებებში. მე მინდოდა ეს ამბავი წინადვე გამომეცხადებია, რაკი შევიტყვე, რომ ხსენებული პიესის წარმოდგენას აპირებენო, მაგრამ ერთმა სურვილმა მაცდუნა: მე მინდოდა გამომეცადა გაზეთის „დროების" ბიბლიოგრაფიული ცოდნა. ვგონებ, დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ქართული სცენა არსებობდა და შეიძლებოდა იმის დახსომება, თუ ვის რომელი პიესა ეკუთვნის, მაგრამ ეხლანდელი რედაქცია უთუოდ ჯერ კიდევ ძლიერ ყმაწვილია."

„დავით გიორგისძე ერისთავი"

ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რა ნაირად შეგვაწუხა ამ შენიშვნამ! არ იფიქრო, რომ ამ მწუხარების მიზეზი დავ. ერისთვისაგან ჩვენი დამცირება იყოს, არა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ღირსეული კაცი ჩვენს დამცირებას არ მოინდომებს და უღირსის არ ვეშინიან. ჩვენ ის გვაწუხებს, რომ კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ღირსეული მიზანი უნდა ჰქონოდა, წვრილმან მიზნებს გამოსდგომია: იმას აღძრვია წვრილმანი სურვილი, მოსდომებია „დროების" ცოდნაში გამოცდა და რაკი შეუტყვია, რომ ჩვენ მოლიერის კომედიის გაფუჭებას მისს მამას ვაბრალებთ, იშვებს და იხარებს, რადგანაც ამით ვითომც უმეცრება შეგვამჩნია. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი არა ღირს.

ჩვენ ამას ვეკითხავთ: სად იყო აქამდის უფ. დ. ერისთავი, რომ არ შეგვატყობინა ცნობები ჩვენის სცენისა და ჟურნალის დამფუძნებელზედ? რად წაბაძა ძველ ჩვენებურ ექიმებს, რომელნიც თავის პრაკტიკულ საექიმო ცოდნას ფარვენ, არავის არ ასწავლიან? ნუ თუ წრეულს სცენაზედ „ძალათ ექიმის" წარმოდგენამდის იმან ვერც ერთი მიზეზი ვერ იპოვა, რომ ჩვენთვის ამისთანა საჭირო ამბავი მოეთხრო? როგორც გვახსოვს, ერთხელ, როცა უფ. ალ. ერისთავმა გ. ერისთვის თხზულებები გამოსცა, ავტორის ძემ დავითმა შეგვატყობინა, რომ ერთი იმ თხზულებებში ჩართული პიესა მამი ჩემის არ არისო. რატომ მაშინვე არა ჰსთქვა „ძალათ ექიმიც" მამი ჩემის არ არისო? ალბათ მაშინ არ ჰსცოდნია, რომ „ძალათ ექიმი" მამა მისის ნაწერი არ იყო და ეხლა მაშინდელის თავის უმეცრების ჯავრს ჩვენზედ იყრის. და თუ იმან ეს ამბავი წინეთაც იცოდა და აქამდის თავის ყუთში ინახავდა, ძალიან ცუდი უნებია. მამა მისის ნაწერად აქამდის ბევრი პიე-

*) რად უკვირს უფ. დ. ერისთავს, რომელსაც ევროპა სიგრძეზედაც და სიგანეზედაც გადურბენია, ეს გაზეთის ნომრების დაფუძნებიდამ ანგარიში?

---

მართალია, კაცი სწერს კანონს, მაგრამ ზნეობის შეჰქმნა იმას არ შეუძლია, ეს ქალის საქმეა. მხოლოდ ის შეასრულებს ამ უმთავრესს საზოგადოების აღმადგენელს მოვალეობას!

შეჰხედეთ, როგორ ჰბადებს შემცდარი აზრი საზარელს აზრს: აქ ჩვენ უბრალო ჭეშმარიტებაგვეფარება და ვერაფერს ვხედავთ. Იმ აზრიდან, რომ მარტო მამაკაცია ცივილიზაციის (განათლების) შემქმნელი, გამოვიდა ყველა დანარჩენი სიყალბეები, ე. ი. რომ ქალი უსარგებლოა, რომ ის კაცის სასიამოვნოდ და საქეიფოთ არის მარტო გაჩენილი და სხვ. და სხვ. ეს ძველი საზოგადო უგუნურობაა, რომელსაც ჩვენს დრომდისაც ტან-მრთელად მოუწევია.

მამაკაცს დაუმონებია დედაკაცი მომეტებულად, ვიდრე ხვად პირუტყვებს ძუძუ ლომი, იმიტომ რომ იმას ფაფარი არა აქვს, განა ხვადი ლომის სათამაშო და სამასხარო ნივთია?! აგრეთვე უმრავლეს ფრინველთ შორის დედალ-მამალი სრული თანასწორი არიან ერთმანერთში. მაშ ქალი რათ უნდა იყოს მხოლოდ გასართობი კაცისთვის? ეს ძველი ცხოვრების წესია. საჭიროა განა მომავალშიაც?

როდესაც ქმარი ირთავს ცოლს, ის მაშინ ართმევს მას ყოველივე პიროვნულ უფლებას და თითონ ღებულობს აპეკუნობას. რისთვის? Იქნება ცოლი ბევრათ ჭკვიანი, განათლებული და სასარგებლოა? არა, ეს ვერ იხსნის ქალს. ქმარი იტაცებს თავისთვის თავისუფლებას, ის დადის ყველგან, ღებულობს მონაწილეობას საქვეყნო საქმეებში, სწავლაში, ლიტერატურაში, უსამართლოებასთან ბრძოლაში და ცოლს კი სამზარეულოს კერიასთან სტოვებს, საჭმელების სამზადებლათ, სახლისა და პირუტყვის მოსავლელათ. Იქნება ეს ქალი თავის ქმრის ასპარეზზედ უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა და ქმარი ცოლის ადგილას? ამას ვინ დასდევს. „მე ნება მაქვს"—ამბობს კაცი „კიტ კიტიჩსავით—და დავამტვრევ, დავანგრევ ყველაფერს.

* *
*

სადავო არ არის, რომ ქალის ნიჭიერება, მისი პიროვნული ღირსებები არ უცვნია ჯერ საზოგადოებას. ჩვენ ვფიქრობთ, თუ კი რომ ქალს მივილებთ სიამოვნებისა, განცხრომისა და ფუფუნების ნივთად, მაშინ ის სრულიად დაჯილდოებული იქნება მისი უმთავრესი უფლებების წართმევისთვის. ეს არის ულრმავესი და უნამდვილესი საფუძველი ქალის დაჩაგრული მდგომარეობისა. აბა ვიკითხოთ ერთი: შეეფერება ამ ნაირი წესი ქალის თვისებებს, მის ბუნებითს დანიშნულებას? გავსინჯოთ.

ამ საგანზედ ვიქტორ ჰუგო ამბობს: მეთვრამეტე საუკუნემ შეასრულა უდიდებულესი მიზანი—განათავისუფლა კაცი მონაობისაგან. ჩვენმა საუკუნემაც აგრეთვე უნდა მოიქცეს შესახებ ქალისა: მან უნდა აღამაღლოს ქალი სრული დამოუკიდებლობის მინიჭებით საზოგადოებაში.

პირველად საჭიროა, დაადგინოს კაცმა ძველი უსაფუძვლო და უგუნური აზრის მაგიერად, მითომ მარტო კაცი შეჰქმნის განათლებას, რომ ქალიც არ ჩამორჩენია იმას უკან საზოგადოების განახლებაში. დედა-კაცი მარტო ყმაწვილს კი არ ატარებს თავის მკერდზედ, არამედ მთელ კაცობრიობასაც. არა, ამაზედ ნათელი რაღაა? როდესაც თქვენ დაამცირებთ ქალს, მაშინ მცირდება კაციც. Ორივე სქესი თანასწორედ მონაწილეობენ შთამომავლობის გაუმჯობესობისათვის. თუ კაცი მეცნიერებისათვის და ფიქრისთვის არის შობილი, სასაცილო არ არის იმის თქმა, რომ ქალი სრულიად არ დაბადებულა გონების გახსნისთვის და ყოველი მეცნიერებისა და სწავლის გალავნის გარეთ უნდა დარჩესო?! ეს ამასა ჰგავს, რომ ვინმე ამტკიცებდეს: მამალი ორბი ნადირობისთვის შექნილია და დედალი კი—რომ ამას ფეხ ქვეშ გაეფინოსო.

განათლების ხარისხი იზომება იმითი, თუ როგორი უფლებები აქვს მინიჭებული დედაკაცს და მართლაც უკეთესი საწყაო არც მოინახება! როდესაც თქვენ ხედავთ, რომ მარტო მამა-კაცის ნება ბატონობს და მბრძანებლობს, იცოდეთ, ეს მხეცები და ბარბაროსებია. როდესაც კაცის ნიჭი, გონება შეთანხმებულია ქალის ნიჭთან და აზრთან, როგორც ხორციელად არიან ისინი შეერთებული, მაშინ თქვენს წინ დიდებული და განათლებული ხალხია.

კაცობრიობის მოვალეობაა, შეუერთდეს იგი ქალს არა მარტო ხორციელად! Იმან უნდა მისცეს ნამდვილი მნიშვნელობა ცოლქმრობას, ე. ი. ყოველი სულიერი და ნივთიერი საქმე თანასწორად უნდა გახადოს ორივესთვის. დღეს კი ეს ორი ძლიერი არსება ამის ნაცვლად კერიას წინ ცხვირ-პირს ამტვრევენ ერთმანერთს და ამით საზოგადო ბედნიერება და წინ-მსვლელობა შეჩერებულია. ჭეშმარიტია, ყოველი ადამიანის მოვალეობაა, რომ ეს ორი სქესი შეათანხმოს. მხოლოდ მაშინ დაწესდება სამართლიანობა და ნამდვილი თავისუფლება.

მეველე.

სები ითვლება და თუ უფ. დავითმა თითო პიესის ამბავი ხუთ-ხუთ წლობით გამოგვიზოგა, იმედია, მეოცე საუკუნეში შევიტყოთ, რომ გ. ერისთავს არც ერთი პიესა არ დაუწერია.

რაც შეეხება იმას, ვითომც „დროების" რედაქცია ეხლა სხვა აზრის არის გ. ერისთავის პიესებზედ და ადრე კი, სანამ "დროების" რედაქციაში დრამატიკულ გენიოსად უცნობი კაცი აღმოჩნდებოდა, სულ სხვა აზრის იყოო, ამაზედ აი რას ვეტყვით უფ. დ. ერისთავს: ჩაიხედოს უფ. დავითმა მაშინდელს „დროებაში", როცა ის პოეტურს ასპარეზს დაეწაფა, და იქნება იპოვოს „დროების" რედაქციის აზრი „ძალათ ექიმზედ", აზრი გაუგენიოსებელი კაცისაგან გამოთქმული. მაშინ იქნება აღარ დაგვწამოს არც წვრილმანი თავის მოყვარება, და არც ხსოვნის ნაკლებობა.

ამ წვრილმან შენიშვნასა და კითხვებს შემდეგ ჩვენ გვინდა შევიტყოთ: სჯერა თუ არა დ. ერისთავს, რომ ყოველივე ღვაწლით, რაც კი ვისმე ჩვენის ხალხის გასაღვიძებლად დაუდვია, ვინც უნდა იყოს ეს მოღვაწე, ჩვენი მამა თუ სხვისი, თუ მეტად არა, ისე მაინც ვიქადით, როგორც თვითონ დ. ერისთავი. იქნება იმას ეგონოს, რომ ჩვენ იმასავით გაგვეხარდება სხვისი უმეცრება და ღვაწლის დამცრობა, თუ კი ეს ღვაწლი პატივისა და სიქადულის ღირსია.

„იმერული გაზეთიო!?" რას ქვიან იმერული გაზეთი? რა უნდა სთქვას ამით უფ. დავით ერისთავმა?

---

## „დროების" კორრესპონდენცია

ხარაგაული 26 იანვ. 1874 წ.

ვის არ გენახულებათ ხარაგაულის სტანცია, უფალნო მკითხველებო. ეს სტანცია არის ორ დაბალ მთებს შუა ერთ პატარა ჩავარდნილ ქალაზე, რომელსაც დიდი სივრცე არა აქვს, ასე რომ რამოდენიმე საჟენს იქით ეს ქალა ისევ ამ მთების გაგრძელებაში იკარგვის. მიბრძანდებით თუ არა ზემოხსენებულ სტანციაში, თქვენ პირველად დაინახავთ ერთ პატარა მთაზედ ოდას, რომელიც, ჩემი გაგებულობით, საწყალი გლეხი კაცების ჯაფით ყოფილა აშენებული შკოლათ. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მოსწავლეს შიგ ვერ ნახავთ. რა მიზეზია, ან ვინ არის დამნაშავე, რომ ამ შკოლაში ყმაწვილები არ სწავლობენ, თვითონ ხალხი, თუ სხვა კერძო პირები?

ხარაგაულის საზოგადოება არის გრძნობით სავსე ხალხი, რომელიც შეგიძლია კარგი და პატიოსანი აზრებით ყირამალა დააყენო. აქ რომ სალაპარაკოთ შეხვდეთ ვისმე, ასე იტყვით: „ერთი ნასწავლი, მარჯვე და პატიოსანი კაცი ამათ ფილოსოფოსებათ გახდისო". მაშასადამე ყოველ ახალ აზრსა და მოვლინებას ამ საზოგადოების ხალხზე ძალიან დიდი გავლენა ჰქონია. ეს, რასაკვირველია, ხალხის თან და თან წინ წაწევას ამტკიცებს. თუ ამ საზოგადოების ხალხი უწინდელ მდგომარეობაში იყოს, უსათუოთ წინააღმდეგობას შეხვდებოდა კაცი ამათში. მაგრამ ესენი სრულებით იმისთანანი არ არიან. აი, მაგალითებრ: გამოუცხადეს თუ არა შკოლის აშენება და ამასთანავე აუხსნეს რა კეთილ მოაზრე კაცებმა ყოველი სარგებლობა თავიანთი შვილების აღზრდისა, ისინი მაშინვე დათანხმდნენ და შემდეგ რამოდენიმე დღისა ერთს პატარა გორაზედ გადმოჰქიმეს ფაცრული ოდა, რომელსაც დაარქვეს შკოლა. მას აქეთ, რაც ეს შკოლა აუშენებიათ, თითქმის ოთხი წელიწადია, მაგრამ მოსწავლენი, როგორც ზევით ვსთქვი, შიგ არ არიან.

ამ საზოგადოებაში ყოფილან ისეთი პირები (მღვდელი, თუ ერი, მე ამას არ ვიტყვი), რომელთაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონიათ მათზე. ამის გამო ეს საზოგადოებაც ამ პირებზედ ყოფილა დანდობილი. ამათ უნდა ეშოვნათ მასწავლებელი, რადგანაც კარგი ცნობა შეეძლოთ და რადგანაც შეხედვით ამათ უფრო მომეტებულ მზრუნველობას შეატყობთ ბავშვების აღზრდაზე. ჩვენდა საუბედუროთ ეს ჩვენი შეხედვა ტყუილი გამოდის და არც არის დასანდობელი ზოგიერთი დაფიქრებული კაცი, რომელიც თავის დალერემილი სახით, ბრძნული სიარულით და მელიასავით კუდის ქნევით იქცევს ხალხის ყურადღებას. აქ მოდიოდნენ ოთხ კლას შესრულებული ყმაწვილები, რომლებსაც შეეძლოთ ესწავლებიათ პატარა ბავშვებისათვის კითხვა, წერა და სხვანი. მოვიდოდნენ თუ არა, ესენი მაშინვე რომელიმე პირთან მიიქცეოდნენ. აი ეს ჩვენი ბრძნათ მოსიარულე პირი რას ეუბნებოდა თურმე იმათა: თუ ამდენს და ამდენს ფულს მამცემო, იმდენს ვეცდებიო, რომ შენ მასწავლებლათ დაგაყენოო. ესენი, შეუძლებლობის გამო იყო, თუ სხვა მიზეზისა, ამას არ შვრებოდნენ და მიდიოდნენ იქ, სადაც ფულებს არ თხოვდენ. ამისგამო ეს ჩვენი ხარაგაულის შკოლა გაპარტახდა. ესეთი მოვლინებაები ჩვენს ხარაგაულის საზოგადოებაში და სხვაგანაც ძალიან სამწუხარონი არიან. კარგი იქნებოდა, რომ ერთი ისეთი პირი გამოჩენილიყო, რომელსაც ეს პატიოსანი კაცები შეერცხვინა თავის მოძმეებს შორის და ეგრძნობინებია ხალხისათვის, რომ ამათი იმედი ტყუილათ ნუ აქვსთ; უმჯობესია თითონვე იზრუნვონ თავიანთი შვილების აღზრდაზე. ამასთანავე ამასაც ვიტყვი, რომ კარგი მარჯვე, მოცადინე კაცი დღესვე იშოვნის მასწავლებელს და ბავშვებსაც შეაგროვებს შკოლაში; რასაკვირველია ის პირები კი არა და არც იმათთანა, არამედ კარგი პატიოსანი, სიმართლის მოყვარე, რომელსაც საწყალი გლეხებისთვის გული შესტკივოდეს.

იოსებ ტაბატაძე.

---

ს. ქლდეეთი, 21 იანვარს 1874 წ.

ღმერთმა ნუ მისცეს ისეთი ანგარების მოყვარება ერის კაცებს, როგორიც ზოგიერთს სასულიერო პირს და განსაკუთრებით ბერს ქონია. აი მაგალითად ერთი მათგანი ს. ვ.....ს მყოფი ბერძნის არქიმანდრიტი, ღირსი მამა პ., როგორი ფულის მუსუსი ყოფილა? და კიდევაც ბევრი ქონია, როგორც ამბობენ. ეხლა იმას ფეხი ესპობა ჩვენს არე-მარეში და მიდის თავის ქვეყანაში, და ამიტომაც ჩნდება მისი ფულები, თორემ აქამდის ვინ იცოდა, თუ მას ამდენი მონახვეჭი ჰქონდა. თურმე ვის არ ქონია მისი ფულები ვალათ აღებული შორაპნის და ქუთაისის უეზდებში, ყოველი წოდების კაცს მართებია, დაუზოგავი, იმერული სარგებელით, ვის ათასობით, ვის ხუთასობით, ვის ას მანეთობით. ეს ვალები ეხლა საჩივრებისაგან ჩნდება, მაგრამ ვინ იცის რამდენი არ აჩიელებდა და ისე გაისტუმრებდა მამა არქიმანდრიტსა. დარწმუნებით ამბობენ, რომ, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ათი ათასი მანეთი მაინც ექნებოდაო სხვა და სხვა პირებზედ მისესხებული და გაუსესხებელიც ხომ ბევრი დარჩებოდა. საწყალი მისი ნაყმევი გლეხების ზურგის ტყავის ნაგლეჯისაგან უნდა იყოს შეგროვებული ამოდენი ფულები. არ გაგიკვირდება, მკითხველო, ამოდენა ფულების პატრონი უ. არქიმანდრიტი, ეხვეწებოდა უ. ჩინოვნიკს ხ....., რომ მამულის ჩამორთმევის თაობაზედ რაც თქვენთან ვიარე და დამეხარჯა, იმის მოწმობა მომეცი, რომ პრაგონის ფულები მივიღოო. ჩემთან მოახსენა იმ უ. ჩინოვნიკს, რომ ასი მანეთის მეტი არაფერი საშუალება არა მაქვსო და ეხლა ამოდენი ფულები ჩნდება ნელ-ნელა. პირველად ეს არქიმანდრიტი იმ სახით მოვიდა, როგორც მათხოვარი და ეხლა მიდის ბეჭაურათ და მდიდრათ, — ამ ნაირი ცხოვრება მისი ქვეყნის კაცს თვალშიაც არ მოსჩვენებია. ამნაირი დამალული სიმდიდრე იმ ღირსების კაცს კი არა, ერის კაცსაც წაწყმედს, როგორც ბრძანებს წმიდა სახარება, (იხილე, ლუკ. თ. 18 მ. ვიდრე 26 მდე.) სიმდიდრე შედგა საწყლების ნაყმევი გლეხების ნაჭირნახულევისაგან და ხაზინისაგან, ვგონებ, პრაგონიც კი მიიღო.

ამ უ. არქიმანდრიტს ერთი ერისგანი ბერძენი თან მოყვა და არის მასთან, რომელსაც დიდი გავლენა ქონდა საწყალ გლეხებში; თითქმის მეორე არქიმანდრიტათ უწოდებდნენ. ეხლა ამბობენ ამასაცკაი ძალი ფულები აქვსო შეგროვებული, დალალობით ნაშოვარი.

მ. ა. არ—შვილი.

---

ს. შროშა, 24 იანვ. 1874.

„დროების" მე-№-407 მე ვაცნობე „დროების" მკითხველებს, რომ დაბა ყვირილაში აქაურ სწავლულ და განათლებულ პირებს სხდომა ექნებათ უ. ყიფიანის სახლში, სადაც ბაასი ექმნებათ შკოლების თაობაზე და ჩვენი საწყალი გლეხების სასარგებლო საქმის თაობაზე მეთქი. მე თურმე, ძლიერ შემცდარ ვარ ამაში: თავი მართლა შეუყრით, მაგრამ შკოლებზე და ჩვენი ხალხის სასარგებლო საქმეების მოსალაპარაკებლად კი არა, ცეკვა თამაშისათვის. საღამოდამ გათენებამდისინ მათ გახურებული ცეკვა თამაში ქონიათ! პიკნიკი ყოფილა! ეს როგორც გავიგე, იაპონია გამახსენდა.

იაპონიაში ერთ ადგილას ერთი ახირებული ჩვეულება იციან: როდესაც კაცი უკანასკნელ მინუტს მიუახლოვდება და სული ძვრება პირიდამ, მაშინვე მიიყვანებენ მღვდელს; ამ დროს ისინი მოჰყვებიან თამაშობას და ცეკვას სანამ კაცი სულ არ გათავდება. მღვდლებს ჰგონიათ, რომ იგინი თამაშით და ცეკვით მომაკვდავს აღუმსუბუქებენ მის გამოუთქმელ წვალებას. კაცს რომ სული ხდებოდეს და მას უყურებდეს, უგნურის მეტი ვინ დაიწყებს თამაშობას! ან კი რიგია ამისთანა დროს თამაშობა და ცეკვა?

არაფერი დიდი წინააღმდეგია, მართლა, კაცმა რომ ხანდისხან გაიხალისოს, მაგრამ ჩვენ ცეკვა-თამაშობისთვის ხუთ-ხუთი მანეთის გამოღება და ასი მანეთის დახარჯვა სწორეთ არ არის მოსაწონი...... საწყალო დაბა ყვირილა! ჯერეთ არ დაბადებულ ხარ და როგორ მალე გაგათხოვეს!.

გ. ბ—ნი.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში დიდი შფოთი და ალიაქოთია. როგორც ნიადაგ. დეპუტატი რიკარი (რესპუბლიკელი) მინისტრების თავმჯდომარეს მისი მამის სიტყვებითა აბამს მახეში; ლეგიტიმისტი დეტამპლი მონარხიელ სამინისტროს ლანძღავს ტრიბუნიდამ და ლამის თითქმის ორმოცი ხმა ჩამოაკლო მმართებლობას; გამბეტა ოსტატურათ ჩასდგომია კვალში მმართებლობის მოქმედებას და ჰა ეს არის გამოიჭერს დღეს არის თუ ხვალ ბროლის და მის ამალს.

მე ერთი ღირსეული კაცის სიტყვებს მოვიყვან ამბობს რიკარი, რომლის ავტორიტეტს უ. მინისტერთ პრეზიდენტი არ უარს ჰყოფს: ეს თითონ იმისი მამაა ბერტოგი ბროლი. აი რას ამბობს ის შესახებ სტამბის თავისუფლებისა: „თუ არ არის წერის თავისუფლება, მაშინ არც პოლიტიკური თავისუფლებაა. შეუძლებელია ენის გახსნა და კალმის შეჭიდა. ერთიც და მეორეც ვიწროვდება მხთალი საზოგადოების მიზეზით: ამ გარემოებაში განათლება შეუძლებელია და ხალხი წინ მსვლელობის მაგიერ უკან მიდის!" მერმე მარცხენა ცენტრის დეპუტატს მოუყვანია ურიცხვი მაგალითები, რომელშიაც მმართებლობას უსინიდისობა და ძალადობით მოქმედება უმტკიცდებოდა. მაგრამ ამისთანაების შუბლ-გატეხილ სამინისტროს როდილა სცხვენია.

დეპეშა არ მოგვსვლია ჯერ, თორემ ეხლა კიდევაც გათავებული იქნება გამბეტას ჰკითხვაზედ სხდომა. გამბეტა აპირებდა მოეთხოვა მმართებლობისთვის ანგარიში, შესახებ ახალი კანონისა ქალაქისა და სოფლების მერებზედ (თავებზედ). ამ საგანზედ იმედი არისო, გვატყობინებენ პარიჟიდამ, რომ გამბეტა თავისკენ უკ დურესს მონარხიელებსაც გადმოიყვანსო, რადგანაც იმათაც სურთ ბროლის სამინისტროს დამხობა. თუ კი ამდენი ხმა იშოვნა რესპუბლიკელების თავმა ლეგიტიმისტებისგან, მაშინ ცხადია უმრავლესობა ბროლის წინააღმდეგი გამოდგება და იმან უნდა შეიტანოს დათხოვნა რესპუბლიკის პრეზიდენტთან. აქ კიდევ ლუი ვეილიოს „უნივერსის" ერთბაშათ დახურვას გაუხელებია ყველა პარტია, გარდა ბონაპარტელებისა და ეს გარემოებაც უფრო უძნელებს მმართებლობას სიცოცხლეს.

„უნივერსის" გაუქმებას ბისმარკის გავლენას აწამებენ, რადგანაც ამ გაზეთში ხშირათ იბეჭდებოდა ცხარი სტატიები იეზუიტების დასაცველად და პრუსიის საწინააღმდეგოდ. ფრანცუზებს ცეცხლი მოსდებიათ, რომ ეჭვი აუღიათ გერმანიის თავის ქვეყნის საქმეებში გარევაზედ. კიდევ ერთი ახალი ამბავი:

პრინცი ჟერომ ნაპოლეონი სულ დაშორებია მონაპარტელებს და აცხადებს, რომ მე მხოლოდ დემოკრატიას თანავუგრძნობ, და იმაში ვხედავ საფრანგეთის აღდგენასაო. რა შეილია!

---

## ინგლისი

იწერებიან, რომ პარლამენტში უმთავრესი ნაწილი კორსერვატორები ამოურჩევიათ. ლონდონში კი კენჭის ყრის დროს დიზრაელის პარტიას, რომელიც კონსერვატორების თავი წაუგია ამორჩევითი ომი.

ამ საგანზედ ჩვენ შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

---

## ესპანია

ესპანიიდამ სულ აღშფოთებული და უნუგეშო ამბები მოდის. რა რომ სერრანო ახალი მმართებლობის თავშია, კარლისტები თურმე ყველგან იმარჯვებენ.

---

## ჩაის გაშენება კავკასიაში

ჩინეთური ჩაის ბუჩქი იმისთანა გვარის არის, რომ მხოლოდ ქვეყნის წელის მახლობელ ალაგებზედ გახარება შეუძლიან. სუნნელი მაღალი ხარისხის ჩაის მოსაყვანად საჭიროა იმისთანა ჰავა, რომ არც ძლიერ დიდი სიცხეები იცოდეს და არც ძლიერი ყინვა. ამ ბუჩქებს სჭირიათ ზაფხულ სითბო და ხშირი წვიმები და ზამთარ ზომიერი ჰავა, რომ უცებ და საგრძნობელად არ იცვლებოდეს, თუმცა დრო დროთი ხანმოკლე ყინვა იყოს და ცოტა თოვლიც მოვიდეს.

სწორედ ამ ნაირი ჰავის არის ჩაის მწარმოებელი ჩინეთის შუა-გული მაზრები, გიმალაის მთის ძირა ადგილები, სამხრეთის ინდოეთის მთის კალთები, იაპონია და სხვ. ამ გვარივე არიან ზოგიერთი კავკასიის ადგი-

ლები: სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სოხუმის მაზრა და ლენკორანის არე-მარე.

შარშან სექტემბერში ჩვენ დავათვალიერეთ სოხუმში სახაზინო ბოტანიკური ბაღი და ვნახეთ, რომ ჩაის ბუჩქები მარცვლებით დაფარულიყვნენ. ეს ფაქტი უსაცილოდ ამტკიცებს, რომ კავკასიის ჰავა ჩაის გასაშენებლად გამოსადეგია. რომ ამაში სრულიად დავარწმუნოთ, მე მივითითებთ მცენარეებზედ, რომელნიც არსად ევროპაში არ არიან, და აქ კი მოუვლელად იზრდებიან, ისე როგორათაც იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში: ზეთის ხე, გარეული ბაყამი, strandium და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სოხუმის მაზრის ქალაადგილები ;ბევრად უფრო ზომიერი და მარგებელი ჰავის არიან, ვინემ ზოგიერთი ინდოეთის მაზრები, საცა ჩაის წარმოება აგრე წარმატებით მიდის. გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ მმართებლობა ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეზედ, ზოგიერთი ინდოეთელი მცენარეები: ბანგის მცენარე, მთიული შაქრის ლელწამი და სხვ. წარმატებით გაშენდებიან შემდეგ კავკასიაში და დიდ სარგებლობას გვაჩვენებენ.

უეჭველია, რომ კიტაიური ჩაის ბუჩქი დიდ თოვლსაც გაუძლებს და პატარა ყინვასაც გადურჩება, რომელიც სამეგრელოს ძალიან იშვიათად სცოდნია. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ჩაის ყანებს ზაფხულობით ზომიერი სიცხეები უნდა და ხშირი წვიმები, ზამთრის თვეებში კი სიცივეებია საჭირო ამ მცენარისათვის, რადგანაც ძალიან უხდება იმის ფოთლების კეთილ სუნნელოვანობას.

განსაკუთრებით სუნნელია გიმალაის ჩაი; აქ ყანები ამისთანა ზომიერ ჰავაში, მთის კალთებზედ არიან, მაშინ როდესაც სამხრეთის ჩინეთიდგან და ინდოეთიდგან მოტანილ ჩაის სიმაგრე და გემო აქვს, სუნით კი ძალიან დაბბლა სდგას.

ამ მცენარეს შესანიშნავი სიცოცხლის ძალა აქვს, რომელიც სხვა ქვეყანაში იმის გადარგვას და შეთვისებას ადვილებს. ჩაის ყანების დადება, ქარხანის გაკეთება ფოთლების მოსამზადებლად ძალიან უბრალო საქმეა, ასე რომ ბევრს შრომას არ მოითხოვს და ყოველი სოფლელისათვის შესაძლებელია, თუ კი ის ჭკუასა და ღონეს სრულიად მოკლებული არ არის.

ამ მცენარეს ხელახლა გაშენება არ სჭირია, ერთხელ დარგული ბუჩქი ას-ას წლობით იზრდება. ჩამოცვივნული მარცვლებისაგან ახალი ბუჩქები ამოდიან შემოდგომაზედ. თითო ქცევაზედ შეიძლება 200 თუ 300 გირვანქა წმინდა ჩაი მოვიდეს ანუ დესიატინაზედ 600, თუ 800 გირვანქა.

ამ ჟამად გიმალაის მთის არე-მარეში, საცა ჩაის ყანების დადება 15 წელიწადია რაც დაიწყეს (1858-დგან), წელიწად შიერთი მილიონი ინგლისური გირვანქა ჩაი მოდის, ან 15 ათას ფუთზედ მეტი; ეს რიცხვი ყოველ წლივ თანდისთან მატულობს.

ინდოეთელი უმაღლესი ხარისხის ჩაი სრულიადაც ნაკლები არ არის ჩინეთის ჩაიზედ, არც გემოთი და არც სუნით, სიმაგრით კიდეც სჯობია.

ინდოეთში ჩაის ყანები კერძოობით საკუთრებას შეადგენენ. ამ ყანებს იჯარით იღებენ მუშათ-ამხანაგობანი, უფრო ხშირათ ჩინეთელი მუშები, მაგრამ ხშირათ თვითონ მიწის პატრონებიც უვლიან საკუთარს ჩაის ყანებს.

მაგრამ ეს კია, რომ ინდოეთში ჩაის გავრცელება, რომელიც აგრე სასარგებლოა მთელი მხარისათვის, სრულიად კერძოობითი პირების საქმე არ ყოფილა. ეს მმართებლობის საქმე იყო, რომელმანაც თავის ხარჯით გამოიწერა ჩაის თესლი და თავისი მოხელეების ზედამხედველობით აკეთებდა აქა იქ გადასარგავ ყანებს, როცა ბოლოს ჩაი კარგად შეეთვისა იქაურს მიწასა და ჰავას, მაშინ მმართებლობა მიწის მეპატრონეებს აძლევდა ნერგებს და ამათ გაიკეთეს დიდი ყანები იმ აზრით, რომ მერმე იჯარით გაეცათ ისინი.

ამ საქმის სრული წარმატება და დაწვრილებითი ამბავი მე შევიტყვე ერთი დაუღალავი მოგზაურის ნალტერ ლაიალისაგან, რომელიც ინდოეთში ინგლისელი მმართებლობის აგენტი იყო ჩაის ყანების გავრცელების დროს და მართავდა იქ 15 წლის განმავლობაში როგორც საკუთარს, ისე სახაზინო და კერძო პირების ყანებს. მალად ერაცხ შევატყობინო ეს ცნობები კავკასიელებს, და წარვუდგინო ეს მოულოდნელი რეზულტატები მმართებლობის კეთილ-განზრახულებას, რომელნიც უთუოდ ისარგებლებენ უფ. ლაიალის მოკლეს ხანს აქ ყოფნით, რომელიც აქ მეცნიერულის განზრახვით მოსულა. საფუძველი მაქვს, რომ უფ. ლაიალს, რომელსაც წინ არ უძღვის სპეკულაცია, არამედ უნდა, რომ კავკასიის მცენარეობა შეისწავოს, ზომიერს წლიურს სასყიდელზედაც დათანხმდება, რომ კავკასიაშიაც შემოიტანოს ის საქმე, რომლის წარმატებას ის, როგორც მმართებლობის აგენტი, თვალ ყურს ადევნებდა 15 წლის განმავლობაში.

რადგანაც ეხლა კავკასიაში თანდის თან უფრო და უფრო ძლიერდება ვაზის ავათმყოფობა, როდესაც ადგილობრივს მცხოვრებლებს ასე უძვირდებათ ეს მეტად საჭირო იმათთვის სასმელი, ღვინის მაგიერ ჩაის შემოღება და საზოგადოდ იმისი შეჩვევა ხალხისათვის ძალიან სასარგებლო უნდა იყოს, არა თუ ჯანის სიმთელისათვის და ალებ-მიცემობისათვის, არამედ ზნეობის დაფარვისათვისაც. ცხადად დამტკიცებულია, რომ ჩაი აღძრავს ენერგიას და საქმიანობას, ახალისებს მუშას შრომაზედ. მაჰმადიანებს კი, რომელიც კავკასიის მცხოვრებლების ერთ დიდს ნაწილს შეადგენენ, სხვა სასმელი სრულიად არა აქვსთ.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ უსაფუძვლოდ აბრალებენ ევროპიელებს, კარგი ჩინეთური ჩაის მაგიერ სხვა ჩაის ან წამხდარს ჩინეთურს ყიდიანო. ეხლა ყველამ იცის, რომ ეს ცუდი ჩაი თვითონ ჩინეთურ ყანებში იკრიფება და თვითონ იქაურს ქარხნებში მზადდება ჩინეთელებისაგან, რომელნიც ჩაის სხვა და სხვა ხის ფოთლებს და ყვავილებს ურევენ. როცა ინდოეთში აგრე ძალიან ვრცელდება ჩაის წარმოება, ჩინეთის ჩაით ვაჭრობა ძლიერ უნდა შემცირდეს ამ ყალბობის გამო.

თუ ყურადღებას მივაქცევთ მოყვანილ ფაქტებზედ, ამასთანავე კარგად შევისწავლით კავკასიის მცენარეობას, და განსაკუთრებით მხედველობაში გვექნება სოხუმის ჩაის ბუჩქები, ჩვენ ადვილად გამოვიყვანთ იმ აზრს, რომ შორს არ არის ის დრო, (და ეს ჩვენზეა დამოკიდებული) როცა კავკასიელი ყანების ჩაი გაუტოლდება ჩინეთის ჩაის არა თუ რუსეთის, მთელი ევროპის სავაჭრო ადგილებზედ.

ადოლფ ეტლინგერ.

ფოთი, 12 დეკემბ. 1873.

განცხადება

## თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### ИЛЕБ'ს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . $6^1/_2$ %

ექვსი თვით . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . $7^1/_2$ %

ექვსი თვით . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში,

სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში . . . 8 %

4.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . $5^1/_2$ %

გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან, — ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი — მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი — ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ**

Отъ такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя (или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

---

# ცნობათ-ფურცელი

„დროება". 1874, № 409

თფილისი, 1 ფებერვალს 1874 წ.

### რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | საღამო |
|---|---|---|
| თფილისი | 8.8 | 8.17 |
| მცხეთა | 9.8 | 10.— |
| გორი | 11.39 | 1.43 |
| სურამი | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა | 6.49 | |
| ქუთაისი | 7.55 | |
| სამტრედია | 9.02 | |
| ახალ-სენაკი | 10.02 | |
| ფოთი | 11.27 | |

| ბ) თფილისისკენ | დილა | დილა |
|---|---|---|
| ფოთი | 7.38 | |
| ახალ-სენაკი | 9.11 | |
| სამტრედია | 10.2 | |
| ქუთაისი | 11.7 | |
| ყვირილა | 12.38 | |
| სურამი | 4.57 | 7.15 |
| გორი | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა | 9.52 | 1.49 |
| თფილისი | 10.49 | 3.13 |

| გ) ფასი თფილისიდამ | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | 90 | 68 | 38 |
| გორამდი | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| ყურამიდამ | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაფ. შუადღეზე.

სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.

სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაფათს, ღამე.

ოდესას — პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:

ასტრახნისკენ —

ასტრაბადისკენ —

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს. | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს. | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსპალეთში. | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპარსეთში | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:

რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა. ქუთაისს: ყოველ დღე კვირას გარდა. კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (საღამომდე.)

გ) გორიდამ.

ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ:

ყოველგან: ყოველდღე.

——

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| საფრანგეთში | 20 |
| გერმანიაში | 14 |
| ინგლისში | 20 |

### ბირჟა

პეტერბურგი, 18 იანვარს.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 163 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 165 | — |
| **კ უ რ ს ი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში. | $32^3/_4$ | პენ |
| პარიჟში | 345 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | $6^3/_4$ | — |
| გირაოს ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა ($5^1/_2$) | 84 | — |
| ხარკოვის (6%) | 83 | 25 |
| მოსკოვის (5%). | 88 | — |
| **ა ქ ც ი ე ბ ი:** | | |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 570 | — |
| კავკაზის და მერკურის | 183 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 284 | — |
| „სალამანდრასი" | 335 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 657 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 190 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 288 | — |

### თფილისის მაზანდა

31 იანვარს, 1874 წ.

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | 1 | 10 |
| — განჯის | 1 | — |
| — შორაგლის | 1 | — |
| ქერი. | — | 60 |
| ბამბა ერევნის | 4 | 20 |
| — ამერიკისა | 5 | 90 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქნული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | — |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | 20 |
| ხორცი ძროხის | — | 70 |
| — ცხვრის | — | 80 |
| სპირტი | 7 | — |
| შაქარი კარგი | 7 | 95 |
| — მდარე | 7 | 85 |
| — ფხვნილი | 6 | 20 |
| ყავა ბრგვალი | 20 | — |
| — საშუალი | 18 | 50 |
| — მდარე | 16 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 6 | 5 |

### სახაზინო განცხადებები

„კავკაზის პრიკაზში" ამ წლის 23 მაისს დანიშნულია ვაჭრობა თ. ი. ლ. თარხან-მოურავის მამულის გასასყიდად, რომელიც მდებარებს სოფ. ერთაწმინდას და ბოსმისჯკარი და ისყიდება 850 მანეთი ვალში. ვისაც ყიდვა სურს დაფასებითი სია შეუძლიანთ ნახონ კავკაზის პრიკაზში.

ამ წლის 25 ფებერვალს, ისყიდება კავკაზის პრიკაზში თფილისის მოქალაქის გ. დ. ქართველოვის სახლები 8000 მანეთის ვალში. დაფასებითი სია შეუძლიანთ ნახონ მყიდველებმა კავკაზის პრიკაზში.

კავკაზის მაზრის სამხედრო საექიმო სამმართველო აცხადებს, რომ ამ წლის 18 ფებერვალს დანიშნულია ვაჭრობა საავთექო მაგაზინისათვის საჭირო მასალებისა და ნივთების მოტანაზე და გაკეთებაზედ. დაწვრილებითი პირობები ნახე „კავკაზის" № 14-ში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Февраля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.